დამტკიცებულია 2008 წლის 24 ოქტომბრის
აკადემიური საბჭოს №24-ე ოქმით

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების წესი

1. უნივერსიტეტის სახელი და ლოგო შეიძლება მიენიჭოს იმ სამეცნიერო ჟურნალებს, რომლებიც ქვემოთ მოყვანილი წესების მიხედვით გამოიცემა.

2. უნივერსიტეტში გამოიცემა ორი ტიპის სამეცნიერო ჟურნალი: რეფერირებადი და საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალები.

3. რეფერირებად ჟურნალად ითვლება ჟურნალი, თუ იგი გადის რეფერირებას ქვეყნის შიგნით. რეფერირების ანონიმურობა უნდა იყოს დაცული. თითო სტატიას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი შემფასებელი.

   3.1. რეცენზიების საფუძველზე რედკოლეგია იღებს გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების შესახებ.

   3.2. რეცენზიები და რედკოლეგიის გადაწყვეტილება უნდა ფიქსირდებოდეს რედკოლეგიის სხდომის ოქმში.

   3.3. ჟურნალის რეფერირებას ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მოთხოვნის მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს პროცედურა და რეცენზიები.

4. საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალად ითვლება ჟურნალი, თუ იგი გადის საერთაშორისო რეფერირებას. რეფერირების ანონიმურობა უნდა იყოს დაცული. თითო სტატიას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი შემფასებელი.

   4.1. რეცენზიები და რედკოლეგიის გადაწყვეტილება უნდა ფიქსირდებოდეს რედკოლეგიის სხდომის ოქმში.

   4.2. რეცენზიების საფუძველზე რედკოლეგია იღებს გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების შესახებ.

   4.3. ჟურნალის რეფერირებას ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მოთხოვნის მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს პროცედურა და რეცენზიები.

   4.4. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალში თუ სტატია არ არის ინგლისურ ენაზე, მას უნდა ახლდეს ვრცელი აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე.

4.5. ყოველ სტატიას უნდა ახლდეს ბიბლიოგრაფია ინგლისურ ენაზე.

4.6. სასურველია, რომ ამგვარი ჟურნალის რედკოლეგია იყოს საერთაშორისო და ჟურნალი იყოს გაერთიანებული რომელიმე აღიარებულ საერთაშორისო ნუსხაში.

5. ორივე ტიპის ჟურნალის შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესები:

5.1. ჟურნალს უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მისია, ასევე სტატიების გაფორმებისა და წარმოდგენის წესი, რომელიც ეთანხმება საერთაშორისო სტანდარტებს.

5.2. ჟურნალის გამოცემისას დაცული უნდა იყოს ჟურნალის გამოცემის პერიოდულობა.

5.3. თუ უნივერსიტეტის სახელით გამოცემული ჟურნალები იბეჭდება უნივერსიტეტის გამომცემლობაში, დაცული უნდა იყოსის ტექნიკური პირობები, რასაც ადგენს გამომცემლობა.

5.4. უნივერსიტეტი (ან ფაკულტეტი) აფინანსებს მისი სახელით გამოცემული ჟურნალების გამოქვეყნებას.

5.5. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების შემთხვევაში, უნივერსიტეტი აფინანსებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ვრცელი აბსტრაქტების თარგმნას საჭიროების შემთხვევაში.

5.6. სხვა გამომცემლობაში დაბეჭდილი მონოგრაფია და სახელმძღვანელო იღებს უნივერსიტეტის სახელსა და ლოგოს, თუ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ წესებს.

5.7. ზემოთ ჩამოთვლილი წესების დაცვის შემთხვევაში აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ჟურნალისთვის უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭების შესახებ.